საქართველოს მთავრობის
განკარგულება

N485 2024 წლის 8 აპრილი ქ. თბილისი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტროს) ინფრასტრუქტურის აღჭურვის მიზნით „აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB)“ მიერ განსაზღვრული პროცედურებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების თაობაზე

1. „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის პირველი მუხლის მე-4 პუნქტის საფუძველზე, სახელმწიფოებრივი და საზოგადოებრივი ინტერესების გათვალისწინებით, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებულ შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიას“ (ს/ნ: 202886788) მიეცეს უფლება, მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტროს) ინფრასტრუქტურის აღჭურვის (ვაგონებისა (97 ერთეული) და სასწავლო სიმულატორის) სახელმწიფო შესყიდვა განახორციელოს „აზიის ინფრასტრუქტურის საინვესტიციო ბანკის (AIIB)“ (შემდგომში – ბანკი) მიერ განსაზღვრული პროცედურებით, 205 000 000 (ორას ხუთი მილიონი) ევროს (დღგ-ის გარეშე)

ფარგლებში, სახელმწიფო ბიუჯეტის ან/და ბანკის მიერ გამოყოფილი სახსრებით.

2. საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის შესაბამისად, ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 100%-იანი წილობრივი მონაწილეობით დაფუძნებული შპს „თბილისის სატრანსპორტო კომპანიის“ მიერ მიწისქვეშა ელექტროტრანსპორტის (მეტროს) ინფრასტრუქტურის აღჭურვის მიზნით „მსოფლიო ბანკის“ მიერ განსაზღვრული პროცედურებით სახელმწიფო შესყიდვის განხორციელების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2024 წლის 5 მარტის №304 განკარგულება.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი კობახიძე**